ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 516

19 ნოემბერი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფს" შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით" ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლი პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის შესაბამისად, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფს" შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით" ქვესასესხო ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 20 ოქტომბრის №21.1465.1624 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფს" შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით" ქვესასესხო ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 20 ოქტომბრის №21.1465.1624 განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად, 9 600 000 (ცხრა მილიონ ექვსასი ათასი) ევროს ოდენობით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ახვლედიანი